ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი
დამატებითი პროგრამა
გამოყენებითი გერმანისტიკა
კურიკულუმი

ფაკულტეტის დასახელება	მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი
პროგრამის დასახელება	**დამატებითი პროგრამა: გამოყენებითი გერმანისტიკა**
მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია	
პროგრამის ხანგრძლივობა (სემესტრი, კრედიტების რაოდენობა)	6 სემესტრი, 60 კრედიტი (1 კრედიტი - 25 საათი)
სწავლების ენა	ქართული
პროგრამის შემუშავების თარიღი და განახლების საკითხი	პროგრამა შემუშავებულია 2022 წელს და ექვემდებარება განახლებას ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში.
პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები	პროფ. ლევან ცაგარელი

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები (მოთხოვნები)

დამატებითი პროგრამა შეთავაზებულია იმ სტუდენტებისთვის, რომლებიც ირიცხებიან ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებზე. დამატებითი სპეციალობის არჩევა სტუდენტებს შეუძლიათ მე-2 სემესტრის დაწყებამდე.

პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზანია აღჭურვოს კურსდამთავრებული გერმანული ენის ცოდნით B1 დონეზე, შეასწავლოს გამოყენებითი გერმანისტიკის საფუძვლები და მისცეს მას საბაზისო ცოდნა გერმანულენოვანი ლიტერატურის, გერმანიის ისტორიისა და კულტურის შესახებ.

სწავლის შედეგები და კომპეტენციები

პროგრამის კურსდამთავრებული:

- ფლობს გერმანულ ენას მინიმუმ B1 დონეზე;
- ავლენს ცოდნას გერმანული ენის ძირითადი ენათმეცნიერული კატეგორიების შესახებ;
- ავლენს ცოდნას გერმანულენოვანი ლიტერატურის ისტორიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პერიოდის შესახებ;

პროგრამის კურსდამთავრებულს:

- შეუძლია ძირითადი ენათმეცნიერული ტერმინოლოგიის გამოყენებით ენის სტრუქტურისა და ენობრივი სისტემის ძირითადი კანონზომიერებების აღწერა;
- შეუძლია ძირითადი ლიტერატურათმცოდნეობითი ტერმინოლოგიის გამოყენებით რუსული ლიტერატურის ისტორიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პერიოდის ავტორების ცნობილი ნაწარმოებების აღწერა და ანალიზი;
- შეუძლია ინტერკულტურული კონტექსტის გააზრება.

სწავლების მეთოდები

პროგრამა დამყარებულია სტუდენტზე ცენტრირებული სწავლების (Student Centered Teaching and Learning) პრინციპზე. მასში გამოყენებული იქნება შეტრიალებული გაკვეთილის (Flipped Classroom), აქტიური სწავლის (Active Learning), პრობლემაზე დაფუძნებული სწავლისა (Problem Based Learning) და პროექტზე დაფუძნებული სწავლის (Project Based Learning) მიდგომები. სასემინარო შეხვედრები ძირითადად დაეთმობა მსჯელობას / დისკუსიას / რეფლექსიას. სტუდენტების მიერ ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების ათვისება უზრუნველყოფილი იქნება დამოუკიდებლად ან გუნდურად (Collaborative Learning) მოსამზადებელი პრეზენტაციებითა და დავალებებით (წერითი ნაშრომი), რომლებშიც განხორციელდება საკვლევი ტექსტის ანალიზი (Case Study). ამისთვის შესაძლებელი იქნება შერეული და ონლაინ-სწავლების (Blended Learning, Online Teaching and Learning) მოდელის ფარგლებში შემუშავებული ციფრული ხელსაწყოებისა და ისუ ელექტრონული სწავლების პორტალის (elearning.iliauni.edu.ge) გამოყენება.

სასწავლო კომპონენტების სპეციფიკიდან გამომდინარე, პროგრამის განხორციელებისას შესაძლოა გამოიყენებოდეს სწავლების სხვა მეთოდები, რომლებიც წარმოდგენილია კონკრეტული კურსების სილაბუსებში.

პროგრამის სტრუქტურა

გერმანისტიკის მიმართულების სტუდენტმა უნდა შეისწავლოს:

1. <u>სავალდებულო</u> კურსები - კოდით - HUMDEUGEN – **30** კრედიტი
   - გამოყენებითი გერმანისტიკის შესავალი
   - გერმანია - ისტორია და კულტურა

- გერმანული ენათმეცნიერების შესავალი
- გერმანულენოვანი ლიტერატურა მოდერნიზმიდან პოსტმოდერნიზმამდე
- გერმანული ენის პრაქტიკული კურსი B1.2

2. სავალდებულო ან/და სავალდებულო არჩევითი კურსები - HUMDEUGEN ან/და HUMDEU – **30** კრედიტი, მათ შორის ენის პრაქტიკული კურსები

შეფასების წესი

შეფასება მიმდინარეობს 100 ქულიანი სისტემით. ქულები ნაწილდება და ისაზღვრება შემდეგნაირად:

(A) 91-100 ფრიადი
(B) 81-90 ძალიან კარგი
(C) 71-80 კარგი
(D) 61-70 დამაკმაყოფილებელი
(E) 51-60 საკმარისი
(FX) 41-50 ვერ ჩააბარა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
(F) 0-40 ჩაიჭრა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

შენიშვნა: შეფასების კომპონენტები, მინიმალური კომპეტენციის ზღვრები, შეფასების კრიტერიუმები და მათი ხვედრითი წილი წარმოდგენილია სასწავლო კურსების სილაბუსებში.

დასაქმების სფეროები

- გერმანულენოვან ქვეყნებთან დაკავშირებული კერძო და საჯარო დაწესებულებები;
- საერთაშორისო კულტურული ურთიერთობების სფერო (საელჩოს, საკონსულოს, საგარეო უწყების კულტურული პროგრამები);
- ტურიზმის სფერო (თარჯიმანი, გიდი);
- საგამომცემლო დაწესებულებები (მთარგმნელი, რედაქტორი, კრიტიკოსი);
- მასობრივი მედია (მთარგმნელი, მიმომხილველი);
- საერთაშორისო ორგანიზაციები, ფონდები;
- საჯარო სექტორი: საგარეო საქმეთა სამინისტრო, კულტურის სამინისტრო;
- არასამთავრობო სექტორი.

სწავლისათვის აუცილებელი დამხმარე პირობები/რესურსები

- სალექციო აუდიტორიები;
- კომპიუტერული კლასები;
- უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა;
- ავსტრიული ბიბლიოთეკა;
- არჩევანის გარემოს უზრუნველყოფის სისტემა „არგუსი“;
- სასწავლო პროცესის მართვის სისტემა E-Learning და მასში ინტეგრირებული პროგრამა Turnitin.